ა(ა)იპ ქ. ქუთაისის
სპორტულ დაწესებულებათა
გაერთიანება

NNLE Kutaisi Sport
Institutions Union

ა(ა)ი.პ. ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის

ბრძანება № 31

ქ. ქუთაისი 5 მაისი 2023 წ.

„ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „საცურაო აუზის“ დირექტორის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 ივნისის N 100 დადგენილების, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა/ წლის 24 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 29 იანვრის N 108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 24 აპრილის ბრძანება N 8-44-442311478 წესდების (ახალი რედაქცია) და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე:

ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „ საცურაო აუზის“ დირექტორის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად.

/დანართი ბრძანებას თან ერთვის/

მუხლი 2. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს „ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველმა კობა ფხაკაძემ.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოში/ვ. კუპრაძის ქ N11 მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ა(ა)იპ-ი ქ. ქუთაისის სპორტულ
დაწესებულებათა გაერთიანების
მმართველი
კობა ფხაკაძე

ბრძანების დანართი

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „საცურაო აუზის“ დირექტორის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „საცურაო აუზის“ დირექტორი (სამსახურის უფროსი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

თანამდებობის დასახელება
ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „ **საცურაო აუზის**“ დირექტორი
მომწოდებელი
ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“
თანამდებობრივი სარგო:
2000 (ორი ათასი)ლარი
ადგილების რაოდენობა
1
სამსახურის ადგილმდებარეობა
ქუთაისი
სამუშაოს ტიპი
სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა
არაუმეტეს 6 თვისა
ძირითადი მოვალეობები/ფუნქციები
პასუხისმგებელია ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფილიალის „საცურაო აუზის“ სრულ მენეჯმენტზე;
აფასებს თანამშრომელთა მუშაობის ხარისხს და აძლევს რეკომენდაციებს;
ზედამხედველობს და კონტროლს უწევს საცურაო აუზის უსაფრთხოების საკითხებს;
კონტროლს უწევს თანამშრომელთა მიერ შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულებას.
საკონკურსო თემატიკა,ნორმატიული მასალა:
1.საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
2.საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
3.საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“;
4.საქართველოს კანონი“გენდერული თანასწორობის შესახებ“;
5. საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება,ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მარკეტინგის ან /და ეკონომიკის ან/და ფინანსების ან/და სპორტის მენეჯმენტის ან/და სპორტის ფიზიოლოგიის სპეციალობით;

- მარკეტინგის ან /და ეკონომიკის ან/და ფინანსების ან/და სპორტის მენეჯმენტის ან/და სპორტის ფიზიოლოგიის სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3(სამი) წლიანი გამოცდილება, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1(ერთი) წლიანი გამოცდილება;

- სავალდებულოა-ინგლისური ენა (B2 დონე)ან/და ფრანგული ენა(B2 დონე) ან/და გერმანული ენა (B2 დონე)

- კომპეტენციები:

  ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
  სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნება;
  ცვლილებების ინიცირება და მართვა ;
  გუნდის განვითარება;
  პრობლემების ანალიზი;
  კონფლიქტებისა და დავების მართვა;
  დამოუკიდებლად მუშაობა;
  გუნდური მუშაობა;
  დროის ეფექტიანი მართვა;
  დაგეგმვის და ორგანიზების უნარი.
- კომპიუტერული (საოფისე პროგრამები)

  Microsoft Word;
  Microsoft Excel;
  Microsoft PowerPoint.

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო პირი: „ა(ა)იპ ქალაქ ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ადმინისტრაციის უფროსი თეა კვანტიძე-ტელ: 577778706
ელ-ფოსტა: sportunion@kutaisi.gov.ge
საბუთების მიღების ვადა 2023 წლის 5 მაისიდან 15 მაისამდე.
თუ თვლით, რომ აკმაყოფილებთ ვაკანსიის მოთხოვნებს და სურვილი გაქვთ ითანამშრომლოთ ზემოაღნიშნულ ორგანიზაციასთან, გთხოვთ, გამოაგზავნოთ CV ელექტრონულ მისამართზე sportunion@kutaisi.gov.ge და წერილის სათაურში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.

ა(ა)იპ-ი ქ. ქუთაისის სპორტულ
დაწესებულებათა გაერთიანების
მმართველი
კობა ფხაკაძე

A12677269